



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბაკიძე“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

05 ივნისი 2019 წელი
N 33/36

ეგზ.: N1

საქართველოს კალათბურთის ეროვნულ
ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ
„ბასკონიას“ / ფონდ „5+11“ - ს შორის
გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში
საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის
აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
აუდიტის მიგნებები.....	12
მოთამაშეთა მომზადების ნაწილი	12
ტექნიკური თანამშრომლობა	20
კონტროლის სისუსტეები	24

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფედერაცია – ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

„სასკი ბასკონია“ – საკალათბურთო კლუბი „სასკი ბასკონია“/„ფონდი 5+11“

კემპი – სპორტული ბანაკი მოთამაშეთა შესარჩევად

ფედერაციის წესდება – ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება

ხელშეკრულება – საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონია“/„ფონდი 5+11“-თან გაფორმებული ხელშეკრულება

ეკონომიკური უფლება – ფინანსური სარგებლის მიღება მოთამაშის გაყიდვიდან

ანგარიშსწორების წესი – „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

აუდიტით გამოვლინდა შემდეგი სახის ძირითადი შეუსაბამობები:

მოთამაშეთა მომზადება

საქართველოში კალათბურთის განვითარების მიზნით, საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონია“/„ფონდი 5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მისაღწევი შედეგი მოთამაშეთა მომზადების ნაწილში განსაზღვრულია ზოგადად და არ არსებობს ფედერაციის მხრიდან მისი შესრულების მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა.

ქართული კემპისათვის მონაწილეთა შერჩევა არ ეფუძნება რელევანტურ და გამჭვირვალე შეფასებისა და შერჩევის კრიტერიუმების სისტემას. მოთამაშეების შერჩევაზე ფედერაციის წესების არარსებობის გამო, გაურკვეველია, რა კრიტერიუმების საფუძველზე განხორციელდა ქართულ კემპში მონაწილე მოთამაშეთა შერჩევა და რატომ არის განსხვავება წლების მიხედვით მოთამაშეთა შესარჩევ კონტიგენტს შორის.

სახელშეკრულებო პირობები და კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ფედერაციის მიერ მოცემული პროექტის ფარგლებში კლუბში მომზადებული კალათბურთელების გაყიდვის, ტრანსფერის ფაქტის დადგენისა და შეტანილი ეკონომიკური წვლილის შესაბამისად ფინანსური სარგებლის მიღების სამართლებრივი მექანიზმების არსებობას. მომსახურების ანაზღაურების არსებული წესი შეიცავს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

ხელშეკრულებით და „გარანტიის დაზღვევის სერტიფიკატით“ არ არის განსაზღვრული გარანტიის გამცემი სადაზღვევო კომპანიის მიმართ ფედერაციის მოთხოვნის წარმოშობის კონკრეტული პირობები და გარემოებები, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს „სასკი ბასკონია“/„ფონდი 5+11“-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულების ამოქმედებას.

2015-2018 წლებში ფედერაციის ვალდებულება, მოთამაშეების მომზადებისათვის „სასკი ბასკონიის“ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის შესახებ შესრულებულია სრულად. ეკონომიკური წვლილის შესაბამისი ფინანსური სარგებელი ფედერაციას ამ ეტაპზე არ მიუღია, მიუხედავად კლუბის მხრიდან სახელშეკრულებო დათქმისა, რომ პროექტის ფარგლებში მომზადებული მოთამაშეების ტრანსფერიდან შემოსავლის მიღება დაიწყებოდა 2017 წლიდან.

ტექნიკური თანამშრომლობა

„სასკი ბასკონიის“ მიერ გაწეული ტექნიკური მომსახურების ანაზღაურება განხორციელებულია მხოლოდ წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, ხარჯვითი ოპერაციების ფაქტობრივად შესრულების დადასტურების გარეშე. წლების მიხედვით – მივლინების პერიოდებს, მივლინებული პირების რაოდენობებსა და სამივლინებო ხარჯების მოცულობებს შორის არის არსებითი ხასიათის შეუსაბამოებები. არ არის განსაზღვრული და შეთანხმებული ქართულ კემპში მონაწილე ესპანელ სპეციალისტებზე ასანაზღაურებელი ჰონორარის ოდენობა.

ფედერაციის მიერ არ ხდება განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების ფარგლებში შესასყიდი საქონლის და მომსახურების ოპტიმალური ფასის, ტექნიკური პარამეტრების და მიწოდების პირობების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევა, რის გარეშეც მიმწოდებელთან გაფორმებული კონტრაქტები ზრდის საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატური ფასის და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვას.

ქართველი მწვრთნელების მოსამზადებელი პროგრამა არ შექმნილა და აღნიშნული პროგრამის მიხედვით მწვრთნელების „სასკი ბასკონიის“ სპორტულ სტრუქტურებში, 3 თვის განმავლობაში მომზადება – არ განხორციელებულა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მიგნებების საპასუხოდ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

სამინისტროს და ფედერაციას

რეკომენდაცია N1.

„კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით შეთანხმდეს მისაღწევი შედეგის კონკრეტული ინდიკატორები, „სასკი ბასკონიას“ მოსამზადებელ სტრუქტურებში ქართველი და უცხოელი კალათბურთელების შერჩევის წესი და პარიტეტი. ამასთანავე, გონივრული პერიოდულობით მომზადდეს და განხილულ იქნეს ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასების ანგარიში.

ფედერაციას

რეკომენდაცია N2.

მოთამაშეთა მომზადების ნაწილში შეტანილი ეკონომიკური წვლილის შესაბამისი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებულ იქნეს გრანტით

დაფინანსებული კალათბურთელების გაყიდვის/ტრანსფერის ფაქტის დადგენისა და ფედერაციასთან მისი პირობების შეთანხმების მექანიზმი. ამასთანავე, განხორციელდეს ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კალათბურთელების სხვადასხვა საკალათბურთო კლუბებში სატრანსფერო „მოძრაობის“, ასევე მომზადების ვადის გასვლის შემდეგ ხსენებული მოთამაშეების „სასკი ბასკონიასთან“ გაფორმებული კონტრაქტის პირობების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მის მიმართ წაყენებულ იქნეს მოთხოვნა მოცემული ტრანსფერებიდან მისაღებ ფინანსურ სარგებლთან დაკავშირებით.

ფედერაციას

რეკომენდაცია N3.

„სასკი ბასკონიის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილი საბანკო (სადაზღვევო) გარანტიით განისაზღვროს მისი ამოქმედების კონკრეტული პირობები და ვადები.

ფედერაციას

რეკომენდაცია N4.

ფულადი სახსრების მიზნობრივი და რაციონალური/პროპორციული ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვროს ტექნიკური თანამშრომლობის ნაწილში ხარჯების სხვადასხვა ელემენტის (სპეციალისტების ჰონორარი, ტრანსპორტირების ხარჯი, სპორტული ინვენტარის შეძენა და ა.შ.) მოცულობა და ანაზღაურების კონკრეტული წესი. ანაზღაურება განხორციელდეს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიას“ „ფონდი 5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ფედერაციის მიერ 2014-2018 წლებში განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვითი ოპერაციები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ, მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობის რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონია“ „ფონდი 5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და ესპანურ საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონია“ „ფონდი 5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ფედერაციის მიერ 2014-2018 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;
- „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებული 2015-2018 წლების „კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები“;
- ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონია“ „ფონდი 5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სამინისტროსა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება;
- „სასკი ბასკონიის“ მიერ წარმოდგენილი „მოთამაშეთა ტრანსფერების ანგარიში“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია, კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს ფედერაციის სტრუქტურის შექმნას და მის მართვას, კალათბურთის წახალისებას, განვითარებასა და ხელშეწყობას, მთლიანად ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის სანდოობის, მდგრადობისა და წესრიგის მიღწევით, კალათბურთით საზოგადოების დაინტერესების ზრდისა და სპორტის ამ სახეობის ეთიკური პრინციპების ყველა ასპექტით ხელშეწყობის უზრუნველყოფით.¹

საქართველოში კალათბურთის განვითარების მიზნით, ფედერაციას და ესპანეთის საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიას“ შორის 2014 წლის 27 სექტემბერს გაფორმდა „ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება“ ხუთი წლის ვადით. ხელშეკრულება შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან:

- მოთამაშეების მომზადება;
- ტექნიკური თანამშრომლობა.

ხელშეკრულებაზე თანდართული, თანამშრომლობის პირველი წლისათვის შედგენილი „საქართველოში კალათბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადების პროექტის“² შესაბამისად, ხელშეკრულების ზოგად მიზნებს წარმოადგენდა:

- ფედერაციასთან ერთად სტრატეგიული გეგმის შემუშავება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდისთვის;

¹ ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება.

² პროექტი „ბასკეტ-ჯორჯია 2021“.

- ქართველი კალათბურთელების ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონის გაუმჯობესება;
- ეროვნული გუნდების შედეგების გაზრდა;
- ქართველი მწვრთნელების მომზადება და ტექნიკური დონის ამაღლება;
- საქართველოში პროფესიონალური შეჯიბრებების დონის ამაღლება;
- ფედერაციასთან თანამშრომლობა ტალანტების გამოსავლენად;
- ნიჭიერი ქართველი კალათბურთელების სპორტული განვითარების ხელშეწყობა ბასკეტში სათამაშოდ მათი მიწვევის გზით.

კონკრეტული მიზანი იყო ნიჭიერ კალათბურთელებთან დაკავშირებით სრული პროგრესის მიღწევა, რაც გამოიხატება მომზადების საწყისი ეტაპიდან შემდგომში, მაღალი დონის შეჯიბრებებსა და პროფესიულ კალათბურთში მონაწილეობა, რათა ხუთწლიანი მუშაობის შედეგად საქართველოს ეროვნული ნაკრები მოხვდეს ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ხელშეკრულების ღირებულება ხუთწლიანი პერიოდისათვის შეადგენდა 2,500,000 ევროს,³ მათ შორის, მოთამაშეების მომზადების მიმართულების დაფინანსებისათვის. ფედერაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებით ეკონომიკური წვლილის სახით ყოველწლიურად გადასახდელი თანხა შეადგენდა 300,000 ევროს, ხოლო ტექნიკური თანამშრომლობისათვის – 200,000 ევროს.

ხელშეკრულების შესაბამისად,⁴ ფედერაციას უნდა ეთანამშრომლა საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიასთან“ უცხოელი კალათბურთელების მომზადებაში ეკონომიკური წვლილის შეტანის გზით და უფლება ექნებოდა, მიეღო 30%-იანი წილი დაბალი ლიგის უცხოელი კალათბურთელების ტრანსფერის უფლებიდან, ხოლო ქართველი ან საქართველოს მოქალაქე კალათბურთელების შემთხვევაში. ფედერაციის წილი შეადგენდა 50%-ს.⁵

მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში 2015-2018 წლებში ფედერაციის მიერ სულ გაწეულია 4,051,937 ლარის ხარჯი. კერძოდ, მოთამაშეების მომზადებისათვის „სასკი ბასკონიის“ ანგარიშზე გადარიცხულია 1,200,000 ევროს⁶ ეკვივალენტი – 3,263,790 ლარი, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში „სასკი ბასკონიის“ მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურებულია 148,866 ევროს ეკვივალენტი – 382,244 ლარი, ხოლო საქართველოში საკალათბურთო კემპების ჩატარებაზე გაწეულმა სხვადასხვა სახის ხარჯმა⁷ შეადგინა 405,903 ლარი.

³ სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ მონაცემები ვერ იქნა წარმოდგენილი.

⁴ ხელშეკრულების მუხლი 3.

⁵ 2018 წლიდან

⁶ აქედან, 100 000 ევრო გადახდილია ფედერაციის საკუთარი შემოსავლებიდან.

⁷ მივლინებები, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები.

ცხრილი N1. ხელშეკრულების ფარგლებში 2014-2018 წლებში გაწეული ხარჯები

პერიოდი	კალატბურთელთა მომზადება	ტექნიკური თანამშრომლობა		სულ
		საკალატბურთო კლუბზე გადახდილი თანხები ⁸	ფედერაციის მიერ გაწეული სხვა ხარჯები	
2014 წ.	-	-	14,306	14,306
2015 წ.	744,650	240,842	103,887	1,089,379
2016 წ.	773,740	108,097	84,915	966,752
2017 წ.	849,000	-	76,497	925,497
2018 წ.	896,400	33,305	126,298	1,056,003
სულ:	3,263,790	382,244	405,903	4,051,937

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ესპანური მხარის ვალდებულება და მისაღწევი შედეგი, მოთამაშეთა მომზადების ნაწილში განსაზღვრულია ზოგადად, არ არის გაზომვადი და არ არსებობს ფედერაციის მხრიდან მისი შესრულების მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა. რაც შეეხება ქართული მხარის სახელშეკრულებო ვალდებულებას, ის განსაზღვრულია ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში კონკრეტულად და შესრულებულია სრულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

⁸ ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება, მგზავრობის, სპორტული ინვენტარის შესყიდვის და სტრატეგიული გეგმის შედგენის ხარჯები.

აუდიტის მიგნებები

მოთამაშეთა მომზადების ნაწილი

მომზადება - წვრთნისთვის მოთამაშეთა შერჩევის პროცესის ნაკლოვანებები

შეთანხმებული პირობებით საკალათურთო კლუბში მომზადებისა და დაკონტრაქტების მიზნით, ქართველ კალათურთელთა შერჩევის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:⁹

I ეტაპი – საქართველოში ორგანიზებული ორკვირიანი საკალათურთო კემპის დროს, რომელშიც ესპანელ და ქართველ მწვრთნელებთან ერთად მონაწილეობს კლუბიდან მოწვეული სკაუტი,¹⁰ ფედერაციის მიერ ქართული კლუბებიდან მოწვეული 14-17 წლის ასაკის საუკეთესო მოთამაშეებიდან, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით შეირჩევა 4 მოთამაშე, სულ: 16 საუკეთესო მოთამაშე;

II ეტაპი – შერჩეული 16 საუკეთესო მოთამაშე მონაწილეობს ესპანეთში ორგანიზებულ საკალათურთო კემპში, რომელიც გრძელდება ორი კვირა, ისინი ცხოვრობენ და ვარჯიშობენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ ახალგაზრდებთან ერთად. ამ ეტაპზე ხდება იმ მოთამაშეთა შერჩევა, რომლებმაც წვრთნა და ვარჯიში უნდა გააგრძელონ კლუბში;

III ეტაპი – მე-2 ეტაპზე შერჩეული მოთამაშეები¹¹ ერთი საკალათურთო სეზონის განმავლობაში, რომელიც გრძელდება 10 თვე, წვრთნას გადიან საკალათურთო კლუბის მოსამზადებელ სტრუქტურებში;

IV ეტაპი – მე-3 ეტაპზე შერჩეული საუკეთესო მოთამაშეები შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე რჩებიან კლუბში. მათზე ეკონომიკური უფლებები¹² ფედერაციასა და კლუბს შორის ნაწილდება ქართველი კალათურთელების შემთხვევაში 50/50%, ხოლო უცხოელი კალათურთელების შემთხვევაში – 30/70%.

ფედერაციის მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით აუდიტის ჯგუფმა დაადგინა, რომ მოთამაშეთა შერჩევის და ახალგაზრდა ნიჭიერი კალათურთელების გამოვლენის მიზნით, 2015-2018 წლებში საქართველოში ჩატარებულ კემპებში სულ მონაწილეობდა ფედერაციის მიერ შერჩეული 420 ქართველი მოთამაშე, საიდანაც ზემოაღნიშნული ეტაპების გავლით შეირჩა 66 მოთამაშე ესპანურ კემპში მონაწილეობისათვის. 2015-2017 წლების სპორტულ სეზონებში (3

⁹ პროექტი „ბასკეტ-ჯორჯია 2021“.

¹⁰ მოთამაშის შერჩევაზე პასუხისმგებელი პირი.

¹¹ გრანტის მქონე პირები.

¹² ფინანსური სარგებლის მიღება მოთამაშეების გაყიდვიდან.

სეზონი)¹³ გრანტი მიიღო და კლუბის მოსამზადებელ სტრუქტურებში წვრთნისა და განვითარების პროგრამა გაიარა 8 ქართველმა და 19-მა უცხოელმა კალათბურთელმა, 2018 წლის სეზონზე კი გადის – 6 ქართველი და 5 უცხოელი კალათბურთელი.

ცხრილი N2. კემპებზე შერჩეულ კალათბურთელთა რაოდენობის შესახებ

წელი	კემპი თბილისში			კემპი ბასკონიაში ქართველ კალათბურთელთა შერჩევაზე		გრანტის მქონე კალათბურთელთა რაოდენობა	
	კემპის ჩატარების თარიღი	შესარჩევ კალათბურთელთა რაოდენობა	შერჩეულ კალათბურთელთა რაოდენობა	შესარჩევ კალათბურთელთა რაოდენობა	შერჩეულ კალათბურთელთა რაოდენობა	ქართველი კალათბურთელები	უცხოელი კალათბურთელები
2015	13-25 აპრილი	160	16	17	6	2 ¹⁴	9
2016	21-28 მაისი	55	17	17	6	5	3
2017	18-21 ივლისი	75	16	16	1	1	7
2018	9-15 აპრილი	130	17	17	6	6	5
	სულ:	420	66	67	19	14	24

შერჩევის პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- 2016 წელს „სასკი ბასკონიის“ მიერ წარმოდგენილი „მოთამაშეთა ტრანსფერების ანგარიშის“ თანახმად, 2015 წელს ბასკონიაში ჩატარებულ კემპზე შეირჩა და ხელშეკრულების შესაბამისად, გრანტი მიიღო, ანუ უფლება მოიპოვა, კლუბში წვრთნა და ვარჯიში გაეგრძელებინა ერთი სეზონის განმავლობაში – 9 უცხოელმა და 3-მა ქართველმა კალათბურთელმა.¹⁵ წარმოდგენილი ქართველი მოთამაშეებიდან მხოლოდ ერთი მონაწილეობდა და შერჩეულ იქნა საქართველოსა და ბასკონიაში ორგანიზებულ საკალათბურთო კემპებზე.¹⁶ მეორე კალათბურთელი¹⁷ ბასკონიის კემპში მონაწილეობდა, გაიმარჯვა და ხელშეკრულების თანახმად, გრანტი მიიღო ქართულ კემპში მონაწილეობის გარეშე, ხოლო მესამე კალათბურთელის¹⁸ წვრთნისა და განვითარების ხარჯები¹⁹ კლუბის მოსამზადებელ სტრუქტურებში ერთი სპორტული სეზონის

¹³ ერთი სეზონი – კალენდარული წლის 10 თვე (სექტემბრიდან ივლისამდე პერიოდი).

¹⁴ ოთხმა მოთამაშემ ვერ მიიღო გრანტი ვიზასთან დაკავშირებული პრობლემის გამო.

¹⁵ ლუკა ბულაშვილი, გიორგი ტურმიაძე და ნიკა დარბაიძე.

¹⁶ ნიკა დარბაიძე.

¹⁷ გიორგი ტურმიაძე.

¹⁸ ლუკა ბულაშვილი.

¹⁹ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად.

განმავლობაში აანაზღაურა მისმა ოჯახმა.²⁰ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსაბამოდ, ქართული კემპის გავლის გარეშე, ლუკა ბულაშვილის და გიორგი ტურმიაძის გრანტით დაფინანსებულთა სიაში მოხვედრაზე ფედერაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა;

- ფედერაციის მიერ ქართული კემპისათვის მონაწილეთა შერჩევა არ ეფუძნება რელევანტურ და გამჭვირვალე შეფასება-შერჩევის კრიტერიუმების სისტემას, რადგან თანამშრომლობის პირველი წლისათვის შედგენილი „საქართველოში კალათბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადების პროექტის“²¹ შესაბამისად, ახალგაზრდა ქართველი მოთამაშეები უნდა შერჩეულიყვნენ ფედერაციის წესების მიხედვით, რომელიც არ არის შემუშავებული და უცნობია, რა კრიტერიუმების საფუძველზე შეარჩიეს ქართულ კემპში მონაწილე მოთამაშეები, ასევე რატომ არის წლების მიხედვით განსხვავებული თანაფარდობა ქართული კემპისათვის შესარჩევ მოთამაშეთა შორის;
- ხელშეკრულებით არ არის შეთანხმებული „სასკი ბასკონიის“ მოსამზადებელ სტრუქტურებში გავლისა და კონტრაქტისათვის კალათბურთელთა შერჩევის მექანიზმი;
- მოთამაშეთა მომზადების ნაწილში ეკონომიკური წვლილის სახით ფედერაციის მიერ საკალათბურთო კლუბის სასარგებლოდ გადახდილ იქნა 3,263,790 ლარი (1,200,000 ევრო). სულ შესამოწმებელ პერიოდში, ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა 38 კალათბურთელი, რომელთაგან, 24 იყო უცხოელი და მხოლოდ 14 – ქართველი. „კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნების შეუსაბამოდ, მოთამაშეთა მომზადებაში ქართული მხარის მიერ შეტანილი წვლილის ძირითადი ნაწილი (63%) მოხმარდა უცხოელი კალათბურთელების მომზადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულების მხარეებმა წარმოადგინეს განმარტებები.

ფედერაციის განმარტება: „ფედერაციასა და „სასკი ბასკონიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მთავარი მიზანია ქართველი ახალგაზრდა კალათბურთელებისათვის საუკეთესო გარემოს უზრუნველყოფა, რათა მათ მაქსიმალურად შეძლონ უმაღლესი დონის კალათბურთელებად ჩამოყალიბება. კალათბურთელების მომზადება შემოქმედებითი პროცესია და გრანტები მიიღეს მათ, ვინც ჩაითვალა შესაფერისად.

ხელშეკრულების პირობებიდან და არსებული რეალობიდან გამომდინარე, ფედერაციის მიერ გადარიცხული თანხები არ მოხმარდა უცხოელი სპორტსმენების აღზრდას, ხელშეკრულების

²⁰ შესაბამისად, ის არ ექვემდებარებოდა გრანტით დაფინანსებულთა სიაში შეტანას.

²¹ პროექტი „ბასკეტ-ჯორჯია 2021“, მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი.

მოქმედების არცერთ ეტაპზე არ ყოფილა გადარიცხული თანხები უცხოელების აღზრდის დასაფინანსებლად. თანხების გადახდით ფედერაციას მოპოვებული აქვს უფლება ქართველი ახალგაზრდების ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში აღზრდის შესახებ. „სასკი ბასკონიას“ კეთილი ნებისა და ფედერაციის მოთხოვნის საფუძველზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ უცხოელი მოთამაშეების სატრანსფერო თანხების ნაწილი (30%) მიმართული იყოს ფედერაციის მიერ ქართველი მოთამაშეების წვრთნისა და დახელოვნებისათვის გამოყოფილი თანხების ამოსაღებად.“

საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიას“ განმარტება: „საქართველოდან გადარიცხული თანხები არ ყოფილა გამოყენებული უცხოელი მოთამაშეებისთვის ტრენინგების ჩასატარებლად. უცხოელი მოთამაშეები გამოყენებულ იქნებიან საქართველოს მიერ ქართველი მოთამაშეების მომზადებისათვის გამოყოფილი თანხების ამოსაღებად. უცხოელი მოთამაშეები გარანტიას იძლევიან, რომ ფედერაცია ამოიღებს ქართველი მოთამაშეების მოსამზადებლად გამოყოფილ თანხას.“

„სასკი ბასკონიის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების ნაკლოვანებები

ფედერაციის ეკონომიკური წვლილი მოთამაშეთა მომზადების ნაწილში კლუბის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით, შეადგენს ფიქსირებულ თანხას და მისი ყოველწლიური მოცულობა არის 300,000 ევრო,²² რომლის გადახდა ფედერაციის მიერ ხორციელდება სპორტული სეზონის დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში.

აღნიშნული პირობა შეიცავს გაწეული მომსახურების არაპროპორციული ანაზღაურების და შედეგად, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვის რისკებს. კერძოდ, მოცემული მომსახურების თვითღირებულება ძირითადად ყალიბდება ცვლადი დანახარჯებისგან (დაბინავების ხარჯი, კონტრაქტის ღირებულება, სპორტული ინვენტარი და ა.შ.) და მისი მოცულობა დამოკიდებულია მოსამზადებელ კალათბურთელთა რაოდენობაზე, რომელიც ყოველწლიურად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, თანაბარი ფიქსირებული ანაზღაურება, მიუხედავად ყოველწლიურად მოსამზადებელი კალათბურთელების განსხვავებული რაოდენობისა, შეიცავს არაპროპორციული და არაეფექტური ხარჯვის რისკებს. შედეგად, მომსახურების ანაზღაურების აღნიშნული მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას და ქართველი მოთამაშეების მოზიდვის წახალისებას კლუბის ახალგაზრდულ სტრუქტურებში მომზადების პროგრამის გავლის მიზნით.

²² ხელშეკრულების მე-10 მუხლი.

ფედერაციის ეკონომიკური უფლების რეალიზაციის ნაკლოვანებები

ხელშეკრულების მოთამაშეთა მომზადების ნაწილის თანახმად, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ითანამშრომლებს „სასკი ბასკონიასთან“ უცხოელი კალათბურთელების მომზადებაში ეკონომიკური წვლილის შეტანის გზით და უფლება ექნება მიიღოს წილი დაბალი ლიგის მოთამაშეების გაყიდვის და ტრანსფერის უფლებებიდან. „ფონდი 5+11“ ყოველ წელს წარუდგენს საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას დაბალი ლიგის კალათბურთელების სიას, რომლებსაც ექნებათ „ფონდი 5+11“-ის ლიცენზია. ამ სიას დამატება არსებული სიტუაციისა და ყველაზე გამორჩეული მოთამაშეების შესაძლო განვითარების ანგარიში. „სასკი ბასკონიის“ მიერ 2016 წლის იანვარში წარმოდგენილი „მოთამაშეთა ტრანსფერების ანგარიშის“ შესაბამისად, სარგებლის მიღება უნდა დაწყებულიყო მე-3 წლიდან.²³

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ფედერაციის მიერ აღნიშნული უფლების მოპოვებისა და ამოქმედების ნაკლოვანებები:

- ფედერაცია არ ფლობს ინფორმაციას იმ კალათბურთელების შესახებ, რომლებმაც მოსამზადებელი პერიოდის გავლის შემდეგ კონტრაქტი გააფორმეს კლუბთან; შეთანხმება არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული ქართველი და უცხოელი მოთამაშეების საკალათბურთო კლუბთან საბაზისო კონტრაქტის, ასევე გაყიდვის ან სატრანსფერო კონტრაქტის პირობების ფედერაციასთან შეთანხმების ვალდებულებას. არის შემთხვევები, როდესაც როგორც უცხოელი, ისე ქართველი მოთამაშეები, რომლებმაც ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიიღეს გრანტი და რომელთაც შესაძლებელია ჰქონოდათ „ფონდი 5+11“-ის ლიცენზია, თამაშობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკალათბურთო კლუბების შემადგენლობაში. ფედერაციიდან წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შერჩეული და გრანტით დაფინანსებული რვა ქართველი კალათბურთელიდან ერთი თამაშობს აშშ-ის ერთ-ერთ კლუბში,²⁴ ერთი – ესპანეთის კლუბ „ბურგოსში“,²⁵ ხუთი კალათბურთელი – საქართველოს სხვადასხვა კლუბში, ხოლო „სასკი ბასკონიას“ კლუბში მომზადებას გადის მხოლოდ ერთი ქართველი კალათბურთელი.²⁶ აუდიტის ჯგუფის მიერ მოკვლეული ინფორმაციით, 2015 წელს გრანტით დაფინანსებული სერბი კალათბურთელი²⁷ დღეის მდგომარეობით თამაშობს

²³ 2018 წლიდან.

²⁴ საბა გიგიბერია.

²⁵ რატი ანდრონიკაშვილი.

²⁶ სანდრო კასაბური.

²⁷ ფილიპ პეტრუსევი.

კანადურ Montverde Academy- ის კლუბში. ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული ბასკონიის ვალდებულება, მოთამაშეთა ტრანსფერის შემთხვევაში ფედერაციის ინფორმირების შესახებ და არც ფედერაციას გააჩნია ინფორმაციის მოპოვების სამართლებრივი მექანიზმები.

2015-2018 წლებში ფედერაციის ვალდებულება – მოთამაშეების მომზადებისათვის „სასკი ბასკონიის“ ანგარიშზე 3,263,790 ლარი (1,200,000 ევრო) ჩაერიცხა, შესრულებულია სრულად. ეკონომიკური წვლილის შესაბამისი ფინანსური სარგებელი ფედერაციას ამ ეტაპზე არ მიუღია, მიუხედავად კლუბის მხრიდან სახელშეკრულებო დათქმისა, რომ პროექტის ფარგლებში მომზადებული მოთამაშეების ტრანსფერიდან შემოსავლის მიღება დაიწყებოდა 2017 წლიდან.

ვალდებულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ნაკლოვანებები

ხელშეკრულების შესაბამისად, „სასკი ბასკონია“ იძლევა გარანტიას, რომ სრულად დაუბრუნებს ფედერაციას მოთამაშეთა მომზადებისთვის გადახდილ 1,500,000 ევროს, თუ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტრანსფერების თანხა ფედერაციას მიღებული არ ექნება. ხელშეკრულებაში წინააღმდეგობრივი და გაურკვეველი პოზიციაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, „სასკი ბასკონია“ იძლევა გარანტიას,²⁸ რომ ფედერაციას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის სრულად დაუბრუნებს მის მიერ ამ პროექტის ხელშეწყობისა და მოთამაშეთა მომზადებისათვის გადახდილ 1,500,000 ევროს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულება არ შესრულდა, ხელშეკრულება არ იძლევა გარანტიის ამოქმედების შესაძლებლობას და მიუთითებს მოცემულ შემთხვევაში სრულიად გაუგებარ პირობაზე, რომლის შესრულების მომენტი სამართლებრივი თვალსაზრისით მაღალი განუსაზღვრელობებით ხასიათდება. კერძოდ, ხელშეკრულებით, იმ შემთხვევაში, თუ „სასკი ბასკონიის“ მიერ ზემოაღნიშნული პირობა (ვალდებულების სრულად დაფარვა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის) არ შესრულდა, ვალდებულების გადახდის პერიოდი და ახალგაზრდა მოთამაშეთა მომზადება გაგრძელდება განუსაზღვრელი ვადით, ვალდებულების სრულად დაფარვამდე. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება არ შეიცავს გარანტიის ამოქმედების კონკრეტულ ვადებს და პირობებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სატრანსფერო თანხის – 1,500,000 ევროს ფედერაციისათვის სრულად დაფარვის საგარანტიო უზრუნველყოფის მიზნით, 2016 წლის მარტში²⁹ „სასკი ბასკონია“/„ფონდი 5+11“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა „გაერთიანებული დაზღვევის ფონდის, დაზღვევისა და გადაზღვევის კომპანიის“ მიერ გაცემული „გარანტიის დაზღვევის სერტიფიკატი“.³⁰

²⁸ ხელშეკრულებაზე 2015 წლის 2 დეკემბერს შედგენილი დამატების/ცვლილების შესაბამისად

²⁹ ხელშეკრულების გაფორმებიდან წელიწადნახევრის შემდეგ

³⁰ N30000761/00000165

ხელშეკრულება და „გარანტიის დაზღვევის სერტიფიკატი“ შეიცავს გარანტიის (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ რისკებს, კერძოდ, არ არის განსაზღვრული გარანტიის ამოქმედების კონკრეტული ვადა, ასევე არ არის დადგენილი გარანტიის გამცემი სადაზღვევო კომპანიის მიმართ ფედერაციის მოთხოვნის წარმოშობის კონკრეტული პირობები და გარემოებები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს „სასკი ბასკონიის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულების ამოქმედებას. ამასთანავე, აღნიშნული „გარანტიის დაზღვევის სერტიფიკატის“ მიხედვით, გაურკვეველ საგარანტიო პირობებთან დაკავშირებით, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა რეგულირდება ესპანეთის კანონმდებლობით.

დასკვნა

მოთამაშეთა მომზადების ნაწილში სახელშეკრულებო პირობები და კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს:

- კლუბის ახალგაზრდულ სტრუქტურებში მომზადების მიზნით, მოთამაშეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას და ერთგვაროვან მიდგომას;
- ფედერაციის მიერ მოცემული პროექტის ფარგლებში კლუბში მომზადებული კალათბურთელების ტრანსფერის ფაქტის დადგენის და შეტანილი ეკონომიკური წვლილის შესაბამისი ფინანსური სარგებლის მიღების სამართლებრივი მექანიზმის არსებობას.

მომსახურების ანაზღაურების არსებული მექანიზმი შეიცავს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს და არ ქმნის კლუბის ახალგაზრდულ სტრუქტურებში მომზადების მიზნით ქართველი მოთამაშეების მოზიდვის სტიმულს.

„კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნების შეუსაბამოდ, მოთამაშეთა მომზადებაში ქართული მხარის მიერ შეტანილი წვლილის ძირითადი ნაწილი (63%) მოხმარდა უცხოელი კალათბურთელების მომზადებას. ფედერაციის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხელშეკრულების ფარგლებში უცხოელი კალათბურთელების მომზადება განპირობებული იყო შემდგომში მათი ტრანსფერის ხარჯზე დამატებითი შემოსავლის მიღების

პერსპექტივით. თუმცა საწინააღმდეგოზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ტრანსფერის ფაქტის და მისი პირობების შეტყობინება-შეთანხმებას ფედერაციასთან. ფედერაცია არ ფლობს ინფორმაციას მომზადებული უცხოელი კალათბურთელების სატრანსფერო პერსპექტივის და მათი შემდგომი

სპორტული განვითარების შესახებ. აღნიშნული კონტროლის მექანიზმების არარსებობა, თავის მხრივ, წარმოშობს თაღლითობის ჩადენის რისკებს.

ხელშეკრულებით და „გარანტიის დაზღვევის სერტიფიკატით“ არ არის განსაზღვრული გარანტიის გამცემი სადაზღვევო კომპანიის მიმართ ფედერაციის მოთხოვნის წარმოშობის კონკრეტული პირობები და გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს „სასკი ბასკონიის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულების ამოქმედებას.

სამინისტროს და ფედერაციას

რეკომენდაცია N1.

„კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით შეთანხმდეს მისაღწევი შედეგის კონკრეტული ინდიკატორები, „სასკი ბასკონიას“ მოსამზადებელ სტრუქტურებში ქართველი და უცხოელი კალათბურთელების შერჩევის წესი და პარიტეტი. ამასთანავე, გონივრული პერიოდულობით მომზადდეს და განხილულ იქნეს ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასების ანგარიში.

ფედერაციას

რეკომენდაცია N2.

მოთამაშეთა მომზადების ნაწილში შეტანილი ეკონომიკური წვლილის შესაბამისი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებულ იქნეს გრანტით დაფინანსებული კალათბურთელების გაყიდვის/ტრანსფერის ფაქტის დადგენისა და ფედერაციასთან მისი პირობების შეთანხმების მექანიზმი. ამასთანავე, განხორციელდეს ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კალათბურთელების სხვადასხვა საკალათბურთო კლუბში სატრანსფერო „მოძრაობის“, ასევე მომზადების ვადის გასვლის შემდეგ ხსენებული მოთამაშეების „სასკი ბასკონიასთან“ გაფორმებული კონტრაქტის პირობების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მის მიმართ წაყენებულ იქნეს მოთხოვნა მოცემული ტრანსფერებიდან მისაღებ ფინანსურ სარგებლთან დაკავშირებით.

ფედერაციას

რეკომენდაცია N3.

„სასკი ბასკონიის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილი საბანკო (სადაზღვევო) გარანტიით განისაზღვროს მისი ამოქმედების კონკრეტული პირობები და ვადები.

ტექნიკური თანამშრომლობა

საკალათბურთო კლუბსა და ფედერაციას შორის ტექნიკური თანამშრომლობა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- 2015-2021 წლებისათვის ფედერაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- კლუბის ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფის მონაწილეობით საქართველოში საკალათბურთო კემპის ორგანიზება;
- ქართველი მწვრთნელების მომზადება ესპანეთში „სასკი ბასკონიის“ სპორტული სტრუქტურის სათავე ოფისში სპეციალურად მათთვის მომზადებული პროგრამის მიხედვით.

ხელშეკრულებით ტექნიკური თანამშრომლობის ღონისძიებების ხარჯები ყოველწლიურად განსაზღვრულია 200,000 ევროს ოდენობით.

„სასკი ბასკონიის“ მიერ ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარჯები

კალათბურთელთა შერჩევის მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, „ფონდი 5+11“ ყოველწლიურად აგზავნის საქართველოში ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფს ფედერაციის მიერ შერჩეული 14-17 წლის ასაკის კალათბურთელებისათვის საკალათბურთო კემპის მოსაწყობად. შესამოწმებელ პერიოდში

მოცემული ღონისძიების ორგანიზების და განხორციელების ხარჯმა სულ შეადგინა – 788,099 ლარი.

ცხრილი N 3. ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გაწეული ხარჯები

პერიოდი	ტექნიკურ თანამშრომლობაზე ბასკონიისათვის გადახდილი თანხები				ფედერაციის მიერ გაწეული ხარჯები ³¹	სულ
	ტექნიკური სპეციალისტების მომსახურება	სატრანსპორტო ხარჯები	სპორტული ტანსაცმელი	სტრატეგიული გეგმის შედგენა		
2014წ	-	-	-	-	14,306	14,306
2015წ	176,504	18,927	15,438	29,880	103,887	344,636
2016წ	85,664	16,135	6,333	-	84,915	193,047
2017წ	-	-	-	-	76,497	76,497
2018წ	22,659	4,440	6,216	-	126,298	159,613
სულ:	284,827	39,502	27,987	29,880	405,903	788,099

ტექნიკური თანამშრომლობისათვის კემპის ფარგლებში გადახდილი მთლიანი თანხებიდან საქართველოში ჩამოსულ ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფზე გაწეულმა ხარჯმა 2015-2018 წლებში შეადგინა – 330,681 ლარი. აქედან, წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე ბასკონიის ანგარიშზე ჩარიცხულია 284,827 ლარის ეკვივალენტი – 110,963 ევრო, ხოლო ადგილზე ამ პირების სასტუმრო მომსახურებაზე გახარჯულია – 45,854 ლარი. კერძოდ, 2015 წელს საქართველოში ჩამოსულ 8 პიროვნებაზე სულ გადახდილია 203,475 ლარი, საიდანაც ინვოისის საფუძველზე „სასკი ბასკონიის“ ანგარიშზე ჩარიცხულია 176,504 ლარი, ხოლო 26,971 ლარი არის მათი სასტუმროს მომსახურების ხარჯი, სამჯერადი კვებით. საშუალოდ, დღეში ამ პიროვნებების მომსახურებაზე გადახდილმა თანხამ შეადგინა – 1,938 ლარი. 2016 წელს კი, საშუალოდ ერთ ადამიანზე გადახდილი თანხა შეადგენს – 1,835 ლარს.

ცხრილი N4. ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფზე გაწეული ხარჯები

კემპის ჩატარების დრო	ჩამოსულ პირთა რაოდენობა	კემპში მონაწილეობის დღეების რაოდენობა – სულ ³²	ადგილზე გაწეული სასტუმრო ხარჯები კვებით (ლარი)	ინვოისის საფუძველზე გადარიცხული თანხა, სულ		სულ ხარჯი სასტუმროს ხარჯის ჩათვლით	ხარჯი საშუალოდ დღეში ³³
				ევრო	ლარი		
2015 წ.	8	105	26,971	70,800	176,504	203,475	1938
2016 წ.	7	51	7,969	32,500	85,664	93,633	1835
2017 წ.	3	12	1,920	-	-	1,920	160
2018 წ.	5	33	8,994	7,663	22,659	31,653	959
სულ:			45,854	110,963	284,827	330,681	

³¹ სასტუმროს მომსახურება, კვების და ტრანსპორტის ხარჯები, იჯარის და ინვენტარის შეძენის ხარჯები.

³² მონაცემები ჩამოსული პიროვნებების მიერ საქართველოში ყოფნის დღეების მიხედვით, ჯამურად, ყველა პერსონაზე.

³³ წლების მიხედვით: ტექნიკური მომსახურებისათვის გადახდილი თანხები, გაყოფილი – ჩამოსული სტუმრების რაოდენობაზე.

ხელშეკრულებით ³⁴ არ არის შეთანხმებული ქართულ კემპში მონაწილეობის მისაღებად მივლინებული ესპანელი ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფის შემადგენლობა და ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მივლინების ხანგრძლივობას. ამასთანავე, არსებითი ხასიათის შეუსაბამობებია წლების მიხედვით მივლინების პერიოდებს, მივლინებული პირების რიცხოვნობას და სამივლინებო ხარჯების მოცულობებს შორის, რომლის რაციონალურობის შესახებ, აუდიტის ობიექტის განმარტებით და სხვა აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება.

ფედერაციის მიერ საკალათბურთო კლუბთან ანგარიშსწორება განხორციელებულია წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, რასაც არ ახლავს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

შესყიდვები

ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების დაფინანსებას ახორციელებს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპებს, რომელთა დაცვის მიზნითაც სხვადასხვა მომსახურების და მატერიალურ-ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ერთ-ერთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ³⁵

ფედერაციის მიერ 2015-2018 წლებში, ხელშეკრულების თანახმად ჩატარებული საკალათბურთო კემპის ფარგლებში – 86,778 ლარის ³⁶ ღირებულების საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის მომწოდებლების შერჩევის მიზნით, ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა.

მწვრთნელების მომზადება

³⁴ 2015 წლის გარდა.

³⁵ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁶ მათ შორის, 1,518 ლარის სპორტული ინვენტარი, 9,463 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, მედიკამენტები და კემპის ფარგლებში გაწეული მომსახურებები.

ხელშეკრულების ტექნიკური თანამშრომლობის³⁷ ნაწილის შესაბამისად, საკალათბურთო კლუბ „სასკი ბასკონიის“ სპორტული სტრუქტურის სათავე ოფისში უნდა შექმნილიყო ქართველი მწვრთნელების მოსამზადებელი პროგრამა.

ქართველი მწვრთნელების მომზადების გეგმა ითვალისწინებდა ორ ძირითად ინიციატივას: მწვრთნელების კლინიკას საქართველოში³⁸ და ქართველი მწვრთნელების სამთვლიან მონაწილეობას „სასკი ბასკონიის“ სტრუქტურებში. თანამშრომლობა მიზნად ისახავდა, რომ ქართველ მწვრთნელებს ყოველწლიურად ჰქონოდათ შესაძლებლობა, სრულად ჩართულიყვნენ წვრთნის პროცესებში და მიღებული გამოცდილებით განხორციელებინათ კალათბურთელების მომზადება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხუთწლიან პერიოდში.

„სასკი ბასკონიის“ სპორტული სტრუქტურის სათავე ოფისში ქართველი მწვრთნელების მოსამზადებელი პროგრამის შექმნა და შესაბამისად, მათი მომზადების მიმართულებით საქმიანობა არ დასტურდება. მწვრთნელების კლინიკის პროცესის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მწვრთნელების მონაწილეობა „სასკი ბასკონიის“ სტრუქტურებში არ განხორციელებულა.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ფედერაციის განმარტებით, „სასკი ბასკონიის“ სპორტულ სტრუქტურებში ქართველ მწვრთნელებს მონაწილეობა არ მიუღიათ ენობრივი ბარიერისა და დროის სიმცირის გამო. აღნიშნული ხელისშემშლელი ფაქტორები ფედერაციისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე და შესაბამისად, მისი მიმდინარეობის პერიოდშიც შეიძლებოდა ამ საკითხების მოგვარება.

დასკვნა

ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გაწეული მომსახურების მიხედვით, „სასკი ბასკონიასთან“ ანგარიშსწორება განხორციელებულია წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, ხარჯვითი ოპერაციების ფაქტობრივად შესრულების დადასტურების გარეშე.³⁹ ხელშეკრულებით არ არის შეთანხმებული ქართულ კემპში მონაწილე ესპანელ სპეციალისტებზე ასანაზღაურებელი ჰონორარის ოდენობა. ფედერაციის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ხარჯის განსაზღვრის საფუძველი.

ხელშეკრულებით განსაზღვრებული ღონისძიებებისათვის შესასყიდი საქონლის და მომსახურების ოპტიმალური ფასის, ტექნიკური პარამეტრებისა და მიწოდების პირობების

³⁷ მე-7 მუხლი.

³⁸ ქართველი მწვრთნელებისათვის 4 – 6-საათიანი თემატური სემინარი.

³⁹ მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე.

დადგენა ბაზრის კვლევის გარეშე, ზრდის საბაზრო პირობებთან შედარებით არაადეკვატური ფასისა და მიწოდების პირობების განსაზღვრის რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვას.

„სასკი ბასკონიის“ სპორტული სტრუქტურის სათავე ოფისში ქართველი მწვრთნელების მოსამზადებელი პროგრამის შექმნა და შესაბამისად, მწვრთნელთა მომზადების მიმართულებით საქმიანობა არ დასტურდება.

ფედერაციას

რეკომენდაცია N4.

ფულადი სახსრების მიზნობრივი და რაციონალური/პროპორციული ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვროს ტექნიკური თანამშრომლობის ნაწილში ხარჯების სხვადასხვა ელემენტის (სპეციალისტების ჰონორარი, ტრანსპორტირების ხარჯი, სპორტული ინვენტარის შეძენა და ა.შ.) მოცულობა და ანაზღაურების კონკრეტული წესი. ანაზღაურება განხორციელდეს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

კონტროლის სისტემები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს „კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიხედვით დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნება, რომელიც ფედერაციას გადაეცემა სუბსიდიის სახით. მოცემული პროგრამის განმახორციელებელია – სამინისტრო, რომლის მიერ არ მომხდარა ხელშეკრულების პროექტის განხილვა-შეთანხმება.

ხელშეკრულების ოპტიმალური და მისაღები პირობების განსაზღვრის მიზნით, ფედერაციას არ შეუსწავლია/გამოუკვლევია საერთაშორისო პრაქტიკა მსგავსი მომსახურების მიმართულებით, მაგალითად, ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი საკალათბურთო კლუბებიდან, მისი ანალიზი და ა. შ.

ხელშეკრულება და მასზე თანდართული, თანამშრომლობის პირველი წლისათვის შედგენილი „საქართველოში კალათბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადების პროექტი“ ფედერაციის მართვის ორგანოს – გამგეობის სხდომაზე არ განხილულა.

არ არის დამტკიცებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი - „პროექტის დირექტორი“.⁴⁰

ხელშეკრულების პირობების მომზადების და განხილვის პროცესში სამინისტროს მხრიდან კონტროლის მექანიზმების არარსებობამ და ამ პროცესის გაუმჭვირვალობამ წარმოშვა საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიული და „კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნებთან შეუსაბამო ხარჯვის რისკები. ამასთან, არაეფექტური კონტროლის სისტემის და სუსტი სამართლებრივი საფუძვლების გამო, არსებობს „სასკი ბასკონიის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ალბათობა.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

მურმან დარახველიძე

წამყვანი აუდიტორი

ხათუნა აგულაშვილი

აუდიტორი

ირაკლი დალაქიშვილი

აუდიტორი

⁴⁰ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება, მუხლი 12, პუნქტი 12.1

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38